განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნა
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება
შპს ცხუმ-ეგრისი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **შორენა ჯაფარიძე,** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

წევრები: **ინგა ბაქრაძე,** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

თბილისი, 2019 წელი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს- ცხუმ-ეგრისი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 220377759
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

თბილისი, 2019 წელი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 21 ნოემბრის №1123 ბრძანებით შექმნილმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე - შორენა ჯაფარიძე, ჯგუფის წევრი - ინგა ბაქრაძე) 2019 წლის 16 და 17 დეკემბერს განახორციელა ვიზიტი შპს ცხუმ-ეგრისში მისამართზე: ქ. ზუგდიდი, კოსტავას N32.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „ელექტროობა“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის საწყის ეტაპზე მოეწყო გაცნობითი შეხვედრა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ექსპერტებმა შეაფასეს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის რელევანტურობა; გაეცნენ და გაანალიზეს პროგრამის დაგეგმვის, დამტკიცების, განხორციელების, ცვლილებების შეტანის, გაუქმების მექანიზმები; პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგია. შეამოწმეს პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტაცია, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ექსპერტებმა დაათვალიერეს პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსის არსებობა, შეამოწმეს პროგრამების მატერიალური რესურსის ფლობის/საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; გაეცნენ და გაანალიზეს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულებები. დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები, გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, ინსტრუქტორებს.

შესწავლილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისობა კანონით დადგენილ ნორმებთან.
გადამოწმება პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის არსებობა.

ვიზიტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო პერსონალის ინტერვიუირებას. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელებსს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

წარმომადგენლებს, რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირს, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ პირებს.

გადამოწმდა დაწესებულების გრძელვადიან სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმებში ახალი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები.
შესწავლილ იქნა და გაანალიზდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ.

ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, რომელიც წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას. **(დანართი 1)**

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- „ელექტროობა“
- „ფარმაცია (სააფთიაქო)“

	სტანდარტი	**ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი**	**სტანდარტი დაკმაყოფილებულია**	**სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული**
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

	არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;			
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

	ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.			

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

<u>ხარვეზები არ დაფიქსირებულა</u>

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1

1. **რეკომენდებულია,** რომ გადაიხედოს და შეიცვალოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ელექტროობის" სასწავლო გეგმა, რათა მოდულების სწავლების თანმიმდევრობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იყოს არა მარტო მოდულებზე დაშვების წინაპირობები (ამ შემთხვევაში მათი არ არსებობა), ასევე მოდულების შინაარსი, მათი დანიშნულება, მათ შორის არსებული ლოგიკური კავშირები. რადგან მოდულების განხორციელების წარმოდგენილი თანმიმდევრობა არ არის რელევანტური და სასწავლო გეგმა ამ სახით ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგებზე გასვლას.
2. **რეკომენდებულია,** რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულური პროგრამების განმახორციელებელი პირების პროფესიული განვითარება მოდულური სწავლებისა და შეფასების მიმართულებით;

ქვესტანდარტი 1.4

3. **რეკომენდებულია,** რომ გადაიხედოს დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულებით" განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბერი №198/ნ ბრძანებით დადგენილი „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესთან".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

ქვესტანდარტი 3.3

4. **რეკომენდირებულია**, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა შესაბამისობაში იყოს დაწესებულების მიერ დადგენილთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

თბილისი, 2019 წელი

VII. დაწესებულების მისია

შპს- ცხუმ-ეგრისის მისიაა:

პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა. განსაკუთრებით, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისთვის. თანამედროვე, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის, სტუდენტზე ორიენტირებულ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილ სასწავლო გარემოში; საჯაროობის უზრუნველყოფა; ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად. კოლეჯში მიმდინარე სასწავლო პროცესის მიზანია, როგორც დარგობრივი, ასევე, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობა, რათა ვიზრუნოთ არა მხოლოდ კურსდამთავრებულების პროფესიონალიზმისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, არამედ, მათ პიროვნულ განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების ღირსეული წევრებად ჩამოყალიბებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

თბილისი, 2019 წელი

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ცხუმ-ეგრისი წარმოადგენს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელმაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისს N123 გადაწყვეტილებით მოიპოვა შემდეგი 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება: ბუღალტერული აღრიცხვა(20); აღმზრდელი (20); ინფორმაციული ტექნოლოგია (15); საოფისე საქმე(15); საფინანსო სერვისები(15). ჯამური რაოდენობა შეადგენს- 85.

ამჟამად დაწესებულება ახორციელებს 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ბუღალტერული აღრიცხვა; ინფორმაციული ტექნოლოგია; საოფისე საქმე, სადაც სტუდენტების ჯამური რაოდენობა შეადგენს 37-ს.

დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადი ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით - „ელექტროობა“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“. აღნიშნული პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის 2019 წლის 2 სექტემბრის N01-25 ბრძანებით.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული პროგრამების დამტკიცებაზე დაწესებულების დირექტორის უფლებამოსილება განსაზღვრულია „შპს ცხუმ-ეგრისის დებულების“ მუხლი 6, პუნქტი 6.3.4-ით.

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება რეგლამეტირებულია დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„შპს ცხუმ-ეგრისის დებულების“ მუხლი 19. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის მეთოდოლოგია“ და მუხლი 20. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება“. პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება შრომის ბაზრის - დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს ან/და პროფესიულ სტუდენტთა/აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგებს ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს ან/და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს“.
დაწესებულებამ წარმოადგინა „ელექტროობის“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება წლების მანძილზე ახორციელებდა იგივე მიმართულების საგნობრივ პროგრამებს, მათ აქვთ დაგროვილი დიდი გამოცდილება, არსებობს შესაბამისი ადამიანური რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულებას აქვს კარგი კონტაქტები პრაქტიკის ობიექტებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც დასტურდება აღნიშნული კომპანიების თანამშრომლობის მზაობით, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შედგება ძირითადი დოკუმენტის, მოდულების ადაპტირებული ვერსიებისა და დანართებისგან. პროგრამებში განსაზღვრულია: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია; პროგრამის მიზანი; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; დასაქმების შესაძლებლობები; პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა; პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი. პროგრამას დანართის სახით თან ერთვის: სასწავლო გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი.

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“.</u>
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ელექტროობა“ საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი 07313-პ); მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში **0713**.
პროგრამის მოცულობა კრეტიტებში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს - 52 კრედიტს, აქედან 4 ზოგადი მოდულის კრედიტების ჯამური რაოდენობა შეადგენს -10 კრედიტს; 4 საერთო პროფესიული მოდული - 14 კრედიტი; 6 სავალდებულო პროფესიულ მოდული -28 კრედიტი. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა - 67 კრედიტია. სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 9 სასწავლო თვეა, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 12 სასწავლო თვე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისას ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა მოდულის სწავლება ერთდროულად, პირველი კვირიდან იწყება. ფორმალურად, სასწავლო გეგმის ასეთი სტრუქტურა მართებულია, ვინაიდან მოდულებს არ აქვთ წინაპირობები. თუმცა, სასწავლო გეგმის შედგენისას უნდა გათვალისწინებულ იყოს არა მარტო წინაპირობები, ასევე მოდულების შინაარსი, მათი დანიშნულება, მათ შორის არსებული ლოგიკური კავშირები, რაც განაპირობებს მოდულების სწავლების თანმიმდევრობას. აღნიშნული წესი სასწავლო გეგმის შედგენისას არ არის გათვალისწინებული. ასე მაგალითად:

- <u>მოდული „გაცნობითი პრაქტიკა“.</u> სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება 1 დან-29-ე კვირის ჩათვლით (სულ 32 კვირაა). მოდულის დანიშნულებაა გააცნოს პროფესიულ სტუდენტს მომავალი პროფესია, სფეროში არსებული კომპანიების ორგანიზაციული მოწყობა, ძირითადი პრინციპები, დასაქმების შესაძლებლობები და ა.შ. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს საბოლოოდ ჩამოყალიბდეს მის მიერ გაკეთებულ არჩევანში. ამიტომ აღნიშნული მოდული უნდა განხორციელდეს სწავლების საწყის ეტაპზე, შემჭიდროებულ ვადებში.
- <u>მოდული „მეწარმეობა“.</u> სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება 1 დან-28-ე კვირის ჩათვლით (სულ 32 კვირაა). დაწესებულების მიერ დამტკიცებული მოდულის განხორციელების მიდგომებში აღნიშნულია, რომ მოდულის მიზანს წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტებს განუვითაროს მეწარმეობრივი ხედვა და მისცეს მოტივაცია, რომ თვითონვე წამოიწყონ ბიზნესი და მისი განხორციელება რეკომენდებულია პროგრამის მეორე ნაწილში, როდესაც სტუდენტებს უკვე აქვთ გარკვეული დარგობრივი ცოდნა პროცესებისა და ტექნოლოგიის შესახებ, რაც აუცილებელია მე-2 სწავლის შედეგის მისაღწევად. სასწავლო გეგმის მიხედვით მე-2 სწავლის შედეგი სავარაუდოდ მე-8 კვირიდან დაიწყება და ამ პერიოდისთვის სტუდენტებს დარგობრივი ცოდნა არ ექნებათ.
- <u>მოდული „ელექტრული და ელექტრონული პრინციპები“</u>. სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება 1 დან-30-ე კვირის ჩათვლით (სულ 32 კვირაა). მოდული აცნობს სტუდენტებს ელექტროობის ზოგად პრინციპებს, რასაც ეფუძნება პრაქტიკულად ყველა დანარჩენი პროფესიული მოდულები, შესაბამისად მისი განხორციელება სწავლების პირველ ეტაპზეა მიზანშეწონილი და არა მთელი სასწვლო პროცესის მანძილზე.
- <u>მოდული „საინჟინრო პროექტი“</u> სასწავლო გეგმის მიხედვით ხორციელდება 1 დან-32-ე კვირის ჩათვლით (სულ 32 კვირაა). მოდული თავისი შინაარსით, შემაჯამებელ მოდულს წარმოადგენს, რომლის განხორციელება სწავლის ბოლო ეტაპზეა მიზანშეწონილი.

<u>ექსპერტების აზრით, სასწავლო გეგმაში მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა არ არის რელევანტური, სასწავლო გეგმა ამ სახით ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების სწავლის შედეგებზე გასვლას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია აღწერილია „დებულების“ მუხლი 28. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება“, რაც მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია.

მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:

1) [redacted] მისამართი: ზუგდიდი,ჭავჭავაძის N1. ხელშეკრულება N 339, 21.08.2019 წ. ხელშეკრულება ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე შემდეგი მოდულების განხორციელებას: ელექტრული ტექნოლოგია, ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება, ელექტრული მონტაჟი, საინჟინრო პროექტი, ელექტრული და ელექტრონული პრინციპები. ხელშეკრულების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეიძლება მიიღოს ერთდროულად პრაქტიკის ობიექტმა, შეადგენს 10 პროფესიულ სტუდენტს. ასევე ხელშეკრულება ითვალისწინებს კომპანიაში არსებულ ვაკანსიაზე დასაქმებას, თუ სტუდენტი დააკმაყოფილებს კომპანიის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.
2) **ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მართვის ცენტრი** - მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის 89. ხელშეკრულება N40, 22.08.2019 წ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე შემდეგი მოდულების განხორციელება: ელექტრული ტექნოლოგია, ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება, ელექტრული მონტაჟი, საინჟინრო პროექტი, ელექტრული და ელექტრონული პრინციპები. ხელშეკრულების შესაბამისად პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეიძლება მიიღოს ერთდროულად პრაქტიკის ობიექტმა შეადგენს 10 პროფესიულ სტუდენტს,
3) **სს ენერგო პრო-ჯორჯია** - მემორანდუმი პრაქტიკული კომპონენტის შესახებ N33, 16.08.2019 წ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე შემდეგი მოდულების განხორციელება: „გაცნობითი პრაქტიკა ელექტროობაში“ ან/და „ელექტრული მონტაჟი“, ან/და საინჟინრო პროექტი. მემორანდუმი უვადოა.

<u>**საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)**</u>

პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 2 სექტემბერი N 01-25 ბრძანებით. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის ფარმაცია(საათიაქო) საფუძველზე (სარეგისტრაცი ნომერი 09110-პ). განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება ვიწრო სფეროს ჯანდაცვა, დეტალური სფეროს ფარმაცია (კოდი 0916); მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში / Associate Degree in Pharmacy (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

კოლეჯი ცხუმ-ეგრისის მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით. ასევე, ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით. სულ ჯამში 123 კრედიტს ქართულენოვანი სტუდენტებისათვის და 153 კრედიტს არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. ქართულენოვანი სტუდენტებისათვის სწავლის ხანგრძლივობა არის 22 სასწავლო თვე, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 30 სასწავლო თვე. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად ცხუმ-ეგრისის სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

სასწავლო პროცესების განსახორციელებლად (10 მოდულის სწავლება) დაწესებულებას დადებული აქვთ ხელშეკრულებები შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან:

1. **შპს ზუგდიდის N2 აფთიაქი,** ქ.ზუგდიდი ზ.გამსახურდიას ქ.N39. ხელშეკრულება N36 20.08 2019-ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემდეგი მოდულების განხორციელება:1.მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება; 2. სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება. კომპანიამ შეიძლება მიიღოს 10 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში. ხელშეკრულება ძალაშია ამოქმედებიდან 6 წელი.
2. **აფთიაქი შპს ვიტა** ქ.ზუგდიდი კოსტავას N50 ხელშეკრულება N34 19.08 2019წ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემდეგი მოდულების განხორციელება:1. მომხმრებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 2. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 3. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა; 4. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 5. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა; 6. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 7. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება; 8. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება. კომპანიამ შეიძლება მიიღოს **5** პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, ხელშეკრულება ძალაშია ამოქმედებიდან 6 წელი
3. [redacted] ქ.ზუგდიდი რუსთველის 243 -ხელშეკრულება N35 19.08 2019 წ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემდეგი მოდულების განხორციელება:1. მომხმრებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 2. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 3. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა; 4. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 5. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

დანამატების შერჩევა; 6. სანიტარულჰიგიენური ნორმების გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 7. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება; 8. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება. კომპანიამ შეიძლება მიიღოს 5 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში. ხელშეკრულება ძალაშია ამოქმედებიდან 6 წელი

4. **აფთიაქი შპს ფარმაცია 2018- ქ.ზუგდიდი რუსთაველისქ. N102. ხელშეკრულება N38 20.08 2019წ.** ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემდეგი მოდულების განხორციელება: 1. მომხმრებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 2. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 3. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა; 4. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 5. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა; 6. სანიტარულჰიგიენური ნორმების გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 7. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება; 8. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება. 5 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, ხელშეკრულება ძალაშია ამოქმედებიდან 6 წელი
5. **შპს მედ-ფარმა** ქ.ზუგდიდი კოსტავას ქ.N36 ხელშეკრულება N37 20.08 2019წ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემდეგი მოდულების განხორციელება:1. მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 2. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 3. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა; 4. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 5. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა; 6. სანიტარულჰიგიენური ნორმების გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 7. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება; 8. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება. კომპანიამ შეიძლება მიიღოს 5 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, ხელშეკრულება ძალაშია ამოქმედებიდან 6 წელი
6. [redacted]**-ქ.ზუგდიდი** კ.გამსახურდიას N41.10 ხელშეკრულება N41 23.08 2019წ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემდეგი მოდულების განხორციელება:1.მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება 2. სითხოვანი წამლის ფორმების მომზადება. კომპანიამ შეიძლება მიიღოს 5 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, ხელშეკრულება ძალაშია ამოქმედებიდან 6 წელი

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები ეწვიენ საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ გათვალისწინებული პრაქტიკის შემდეგ ობიექტებს: **აფთიაქი შპს ვიტა; შპს მედ-ფარმა;** [redacted]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

[redacted] ასევე დაათვალიერეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული კომპანიები - [redacted] ; **ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მართვის ცენტრი**. გარდა ამისა შედგა სატელეფონო საუბარი პრაქტიკის მესამე ობიექტის, **სს ენერგო პრო-ჯორჯიას** ცენტრალური ოფისის წარმომადგენელთან,

ექსპერტების ვიზიტისას პრაქტიკის ობიექტებზე იყო ხელმოწერილი ხელშეკრულებების 1 პირი, ინტერვიურებით დადგინდა, რომ აღნიშნულ ობიექტზე შესაძლებელია პრაქტიკული კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელება და ხელშეკრულებებში მითითებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მიღება.

<u>კოლეჯში ჩატარებული ინტერვიუირების შედეგების ანალიზი</u>

ექსპერტთა ვიზიტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო კოლეჯის პერსონალის ინტერვიუირებას. ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს და პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პირებს.

პერსონალის ინტერვიურება შემდეგ საკითხებს ეხებოდა: პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობა, პროგრამების შემუშავებაში ჩართულობა; მოდულური პროგრამების სწავლებისა და შეფასების თავისებურებანი; სასწავლო გეგმების შედგენის თავისებურებანი; მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა; გამოცდილება მოდულურ სწავლებაში; მოდულურ სწავლებასა და შეფასებაში მასწავლებელთა ტრენინგების აუცილებლობა, მოდულებში ცვლილების შეტანის პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირთა ნაწილი უმაღლესი განათლების სისტემაში მოღვაწეობს, ნაწილს აქვს მოდულური პროგრამების განხორციელების გამოცდილება, თუმცა არიან მასწავლებლები, რომლებიც მხოლოდ საგნობრივ პროგრამებს ახორციელებდნენ. მასწავლებლების ნაწილს მოდულური სწავლების მიმართულებით შიდა ტრენინგები აქვთ გავლილი.

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია,** რომ გადაიხედოს და შეიცვალოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ელექტროობის“ სასწავლო გეგმა, რათა მოდულების სწავლების თანმიმდევრობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იყოს არა მარტო მოდულებზე დაშვების წინაპირობები (ამ შემთხვევაში მათი არ არსებობა), ასევე მოდულების შინაარსი, მათი დანიშნულება, მათ შორის არსებული ლოგიკური კავშირები. რადგან მოდულების განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

თბილისი, 2019 წელი

წარმოდგენილი თანმიმდევრობა არ არის რელევანტური და სასწავლო გეგმა ამ სახით ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგებზე გასვლას.

- **რეკომენდებულია,** რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულური პროგრამების განმახორციელებელი პირების პროფესიული განვითარება მოდულური სწავლებისა და შეფასების მიმართულებით;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მოდულური პროგრამები, მოდულები, სასწავლო გეგმები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“;
- დოკუმენტი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ - განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“;
- დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ - განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“;
- დაწესებულების ადმინიდტრაციის წარმომადგენლების, პროგრამების განმახორციელებელი პირების ინტერვიუირება;
- ვიზიტები პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელ კომპანიებში;
- დაწესებულების დირექციის წარმომადგენლების, პროგრამების განმახორციელებელი პირების ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი).

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია 2018-2019 წწ და 2019-2020 წწ. კატალოგები. კატალოგში წარმოდგენილია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია; კოლეჯის სტრუქტურა; ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი; მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობა; სწავლის მიზანი და შედეგები.
ახალი პროგრამების შესახებ ინფორმაცია კატალოგში ან ვებ-გვერდზე ანონსი სახით წარმოდგენილი არ არის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდი http://www.ckhum.edu.ge/

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს, კერძოდ:

1. **„ელექტროობა“** (0713) შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან „ელექტროობა“ -07313-პ (N656. 13.10.2017 ცვლილება 2018 წლის 5 ივნისი N 458 ცვლილება - 2019 წლის 31 იანვარი N 80/ი ცვლილება - 2019 წლის 25 სექტემბერი N 882/ი);
2. **ფარმაცია (სააფთიაქო)** შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან - ფარმაცია (სააფთიაქო), რომელიც დამტკიცების თარიღი - N407/ი. 21.05.2018, ბოლო ცვლილება შეტანილია 2019 წლის 16 აპრილს, ბრძანება N 274/ი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წარმოდგენილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შედარებით შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები წარმოდგენილია „შპს ცხუმ-ეგრისის დებულების“ სხვადასხვა მუხლებში, კერძოდ:

- მუხლი 24 .ჩარიცხვის პროცედურა;
- მუხლი 25. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება და უფლებები, ვალდებულებები;
- მუხლი 31. პროფესიული სტუდენტის მობილობა;
- მუხლი 32. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და სტატუსის აღდგენა;
- მუხლი 33. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
- მუხლი 34. ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება;
- მუხლი 35. კვალიფიკაციის მინიჭების ინსტრუქცია.

ექსპერტებმა გადაამოწმეს პროფესიული სტუდენტების სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა, შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების პრაქტიკა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა არასრულწლოვანი, უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურას.
ვიზიტის დროს განხილული იყო შემდეგი პროცედურები და შესაბამისი დოკუმენტაცია:

- <u>სტუდენტების სტატუსის მოპოვების პროცედურა,</u> დირექტორის 2019 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება N02-26 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- <u>ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი განათლების მქონე აპლიკანტის ჩარისხის პროცედურა,</u> პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე;
- <u>არასრულწლოვანი აპლიკანტის ჩარისხის პროცედურა;</u> პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე;
- <u>პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერების პროცედურა;</u> დირექტორის 2019 წლის 13 ნოემბრის ბრძანება N02-30 პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერების შესახებ

ვერ შემოწმდა პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების, კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომის გაცემის პრაქტიკა, ვინაიდან დაწესებულებაში აღნიშნული პროცედურები ჯერ არ განხორციელებულა.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა ასევე შეამოწმეს პროფესიული სტუდენტების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემების შეტანის და რეესტრის წარმოების პროცედურა.
ექსპერტების აზრით, დაწესებულებაში შემუშავებულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესები, ასევე რეესტრში მონაცემების შეტანის და რეესტრის წარმოების წესები, ხოლო პროცედურები მიმდინარეობს წესების სრული დაცვით.

რეკომენდებულია, *რომ გადაიხედოს დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულებით“ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბერი №198/ნ ბრძანებით დადგენილი „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესთან“*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები
- დაწესებულების დირექციის წარმომადგენლების, პროგრამების განმახორციელებელი პირების ინტერვიუირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც აღწერილია „შპს ცხუმ-ეგრისის დებულების“ მუხლი 21. „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა /გაუქმება“

აღნიშნული წესის მიხედვით, დამდგარი ან მოსალოდნელი ობიექტური გარემოების დროს, რომელიც იწვევს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას ან გაუქმებას, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით (აქამდე დადასტურებული შედეგების აღიარებით), ან დაასრულებინოს სწავლა იმ პროგრამით, რომელზედაც ჩარიცხულია ან ხელი შეუწყოს მათ მობილობას; კოლეჯი აფორმებს თანამშრომლობის მემორანდუმებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების მობილობის და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მათ მიერ გავლილი პროგრამის მოდულების/პროგრამის ფარგლებში დადასტურებული შედეგების /კრედიტების აღიარებით.

- კოლეჯი ცხუმ-ეგრისი არის კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი, გაფორმებული აქვს მემორანდუმი კერძო კოლეჯების ასოციაციასთან. აღნიშნული მემორანდუმი გულისხმობს ამ ასოციაციის წევრ კოლეჯებს შორის მონაწილე ერთ-ერთ კოლეჯში გაუქმებული/შეცვლილი პროგრამის შემთხვევაში სტუდენტთა სწავლის უწყვეტობას დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“;
- „შპს ცხუმ-ეგრისის დებულების“ მუხლი 21. „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა /გაუქმება“
- კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმი.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები აღწერილია“ დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულების“ მეოთხე თავში „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები“. დაწესებულებაში პროფესიული პროგრამების ხარისხის შეფასების ციკლი შემდეგ ეტაპებს მოიცავს: დაგეგმე-განახორციელე- შეაფასე-განახორციელე ცვლილებები.

დაწესებულებებში სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია და მექანიზმების შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგს, გაუმჯობესებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ხელმძღვანელობს.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი:

- შეიმუშავებს კითხვარების ფორმებს;
- ატარებს გამოკითხვას სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მოდულების/სასწავლო კურსების ხარისხის დადგენის მიზნით;
- სასწავლო წლის განმავლობაში ატარებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს;
- ახორციელებს საკონტაქტო საათებზე დასწრებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

თბილისი, 2019 წელი

- საჭიროების მიხედვით გამოითხოვს ინფორმაციას ბიბლიოთეკარისგან, დაწესებულების საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის და მოდულებში/სასწავლო კურსებში ლიტერატურის შესაბამისობის შესახებ;
- ამოწმებს კომპიუტერული ტექნიკის/პროგრამულ უზრუნველყოფის პროცესის მდგომარეობას;
- ამოწმებს სასწავლო პროცესში ჩართული ადმინისტრაციული სტრუქტურების საქმიანობას.

დაწესებულების საქმიანობის ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება შემდეგი სახის კითხვარები:

- პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კითხვარი;
- ადმინისტრაციის კითხვარი;
- საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი;
- კურსდამთავრებულთა კითხვარი; გარე ფაქტორების/ბაზრის კვლევის კითხვარი;

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას შევსებული კითხვარები და მათი ანალიზი არ წარმოუდგენია, ვინაიდან აღნიშნული კითხვარები ჯერ არ გამოუყენებიათ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“;
- ხარისხის უზრუნველყოფაში ცართული პერსონალის ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

თბილისი, 2019 წელი

დაწესებულება ქირავნობის ხელშეკრულების N 1245/12 , [redacted] საფუძველზე ფლობს ქ.ზუგდიდში, კოსტავას ქ. N32-ორსართულიანი შენობის მეორე სართულს, რომლის საერთო ფართი შეადგენს 313.8 კვ.მ. ხელშეკრულება დადებულია 24.01.2018 7 წლის ვადით, ხელშეკრულების ბოლო თარიღია 12.02.2026 წელი.
ხელშეკრულება გატარებულია საჯარო რეესტრში [redacted]
აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრში დაფიქსირებულ ხელშეკრულებაში მითითებულია მისამართი - ზუგდიდი, კოსტავას ქ N32. თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ შენობაზე მითითებულია კოსტავას N38. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ხელშეკრულების დადების და შემდგომ მიმდინარე წელს განხორციელებული ავტორიზაციის ვიზიტის მომენტში, აღნიშნულ შენობაზე განთავსებულ აბრაზე მითითებული იყო N32, შემდგომ მოხდა კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობების გადანომრვა და შენობას მიენიჭა N38. ცვლილება ჯერ არ არის დაფიქსირებული საჯარო რეესტრში.

№	მისამართი	კვ.მ.
	ზუგდიდი, კოსტავას ქ N32	**313.8 კვ.მ.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- [redacted]
- [redacted]

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
„ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განხორციელებისთვის არსებობს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, კერძოდ:

- **ელექტროტექნიკური ლაბორატორია,** რომელიც გათვლილია 10 პროფესიულ სტუდენტზე და წარმოადგენს კომბინირებულ A და C გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2019 წელი

- **ქიმიურ-ტექნოლოგიური-ბიოლოგიური ლაბორატორია,** 10 პროფესიულ სტუდენტზე და წარმოადგენს კომბინირებულ C გარემოს;
- **იმიტირებული აფთიაქი**, რომელიც 10 პროფესიულ სტუდენტზე და წარმოადგენს კომბინირებულ A და C გარემოს;
- 3 სასწავლო აუდიტორია, A გარემო, 20-20 სტუდენტზე;
- ორი კომპიუტერული კლასი - 20 და 15 დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტზე გათვლილი

ორივე პროგრამის შემთხვევაში დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსი, ჩამონათვალი. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ეს ჩამონათვალი სრულ შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ სარეკომენდაციო ინვენტარისა და აღჭურვილობის ჩამონათვალთან. ექსპერტებმა ადგილზე გადაამოწმეს ინვენტარის არსებობა და შეისწავლეს აღნიშნული ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ დაწესებულებაში არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ფართი, რომელიც უზრუნველყოფს „ელექტროობის“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია „შპს ცხუმ-ეგრისის დებულების“ მუხლი 39-ით. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებულია დოკუმენტები “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტროობა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“, რომლის შესაბამისად განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტი 2 ცვლაში. ასევე შემუშავებულია “საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“ და განისაზღვრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 40 სტუდენტი 2 ცვლაში.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისს N123 გადაწყვეტილებით, დაწესებულებამ მოიპოვა 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და თითოეულ პროგრამაზე მას განესაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა შემდეგი ზღვრული რაოდენობა:

- ბუღალტერული აღრიცხვა;-20
- აღმზრდელი (20);
- ინფორმაციული ტექნოლოგია (15);
- საოფისე საქმე-15;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

- საფინანსო სერვისები-15.

აღნიშნულ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ჯამური რაოდენობა შეადგენს 85-ს.

ვიზიტის პერიოდში, ობიექტური მიზეზების გათალისწინებით, დაწესებულებამ შეცვალა პროგრამებზე „ელექტროობა“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოთხოვნილი რაოდენობა, კერძოდ: ელექტროობის - 14 პროფესიული სტუდენტი და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ -20 პროფესიული სტუდენტი.

გარდა ამისა, გადახედილ იქნა და დაკორექტირდა არსებულ პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტტა ზღვრული რაოდენობა, კერძოდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ -10 პპროფესიული სტუდენტი ნაცვლად 20-ისა, ანალოგიურად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ბუღალტერული აღრიცხვა - 10 პპროფესიული სტუდენტი ნაცვლად 20-ისა,

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, დაწესებულების მიერ განათლების ხარისხხის განვითარების ცენტრში მიწოდებულ იქნა დაზუსტებული ინფორმაცია პროგრამებზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ცვლილებებისზე შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასაქონლო ზედნადებები
- შესყიდვის აქტები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“;
- “საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“;
- “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტროობა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების წიგნადი ფონდისთვის გამოყოფილია ოთახი, სადაც განთავსებულია 8 მაგიდა, სკამები, 2 კომპიუტერი და 2 კომბაინი. კედელზე, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. აღნიშნული წესი ასევე წარმოდგენილი, „შპს ცხუმ-ეგრისის დებულების“ მუხლი 17 -ში.

ექსპერტებმა შერჩევითი პრინციპით გადაამოწმეს პროგრამების სხვადასხვა მოდულებში მითითებული ლიტერატურის არსებობა. დადგინდა, რომ მითითებული სასწავლო რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

სრულად არის წარმოდგენილი, როგორც ელექტრონულ მატარებელზე, ასე ამონაბეჭდი სახით. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. გადამოწმდა ასევე წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს მასწავლებლების და სტუდენტების მიერ გატანილი წიგნების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, ანალიზი, რაც დაფიქსირებულია შესაბამის ჟურნალში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე მართვაში. საგანმანათლებლო საქმიანობაში გამოყენებული კომპიუტერების რაოდენობა შეადგენს-37 ერთეულს, ხოლო დაწესებულების მართვაში - 10 ერთეულს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა რეგლამენტირებულია დირექტორის 2019 წლის 10 იანვრის N 01-06 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის საქმისწარმოების წესით“, რომელიც შემუშავებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულებებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესების" და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტს დამტკიცებული №72 ბრძანების საფუძველზე. მისი ნორმების დაცვა სავალდებულოა კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმეთა წარმოებისას.

დაწესებულებაში კორესპონდენციის (დოკუმენტაციის) აღრიცხვა და შემდგომ ახალი კალენდარული წლის დასაწყისში განახლებული ნუმერაციით რეგისტრაცია ხორციელდება შემდეგ სარეგისტრაციო ჟურნალებში:

- ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- ოქმების, აქტების რეგისტრაციის ჟურნალი;
- შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი;
- გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების /მემორანდუმების
- რეგისტრაციის ჟურნალი;
- პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლების განცხადებებისა
- რეგისტრაციის ჟურნალი;
- ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალები;
- მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის - დიპლომების რეგისტრაციის ჟურნალი;
- სერტიფიკატების აღრიცხვის ჟურნალი.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა ადგილზე გადაამოწმეს პროგრამების დამატებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დაადასტურეს, რომ გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს დაწესებულების მიერ ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების ინსტრუქცია;
- დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვის წესები და მექანიზმები აღწერილია დაწესებულების „შპს ცხუმ-ეგრისის დებულების“ კოლეჯის დებულების მე-18 მუხლით „უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესები“. წესრიგისა და უსაფრთხოების მართვის ადმინისტრირებისათვის შენობაში განთავსებულია სამეთვალყურეო კამერები. კოლეჯის ტერიტორიაზე თვალსაჩინო 2 ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმა და 4 ცეცხლმაქრი, მათ შორის 1 ცეცხლმაქრი საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია (სააფთიაქო)“ - C გარემოში. დაწესებულებაში ასევე არის სამედიცინო ოთახი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“;
- ვიზუალური დათვალლიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

თბილისი, 2019 წელი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის, კერძოდ მეორე სართულზე ასასვლელ კიბეზე განთავსებულია ასაკეცი ლითონის პანდუსი, არის ასევე ადაპტირებული სველი წერტილი.

„შპს ცხუმ-ეგრისის დებულების“ მუხლი 37-ით განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“ (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით);
- ვიზუალური დათვალლიერება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, ისტორია, (დაწესებულების სტრუქტურა, მიღწევები, საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომლის მისამართია: http://www.ckhum.edu.ge/. ვებ-გვერდზე განთავსებულია მისია, დაწესებულების სტრუქტურა, განვითარების გეგმა, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებსაც დაწესებულება ახორციელებს, პარტნიორი ორგანიზაციები, ახალი ამბები, ფოტოგალერეა, სასარგებლო ბმულები, საკონტაქტო ინფორმაცია, კოლეჯის დებულება, შინაგანაწესი და საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ინფორმაციის განახლება ვებ-გვერდზე ხდება რეგულარულად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

- დაწესებულების ვებ გვერდი http://www.ckhum.edu.ge/

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დირექტორის 2018 წლის 14 ივნისის N 01-02 ბრძანებით დამტკიცებული 2018-2023 წწ. სტრატეგიული განვითარების (6 წლიანი) გეგმა. ასევე შემუშავებულია დირექტორის 2019 წლის 7 აგვისტოს N 01-24/1 ბრძანებით გამტკიცებული 2019-2020 წწ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის ერთერთი ამოცანა ითვალისწინებს მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას. განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019-2020 წწ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 7 აგვისტოს N 01-24/1 ბრძანებით);
- 2018-2023 წწ. სტრატეგიული განვითარების (6 წლიანი) გეგმა (დამტკიცებულია 2018 წლის 14 ივნისის N 01-02 ბრძანებით);
- http://www.ckhum.edu.ge/strategy.html.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულების“ მუხლები 6-15-ით , განსაზღვრულია სტრუქტურა, ასევე ადმინისტრაციული და დამხმერე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაოს აღწერილობა, კერძოდ: დირექტორი; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი; სასწავლო პროცესის მენეჯერი; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერი; ბუღალტერი; ბიბლიოთეკარი; მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მენეჯერი; იურისტი; IT მენეჯერი.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეების შერჩევით გადამოწმებას, ასევე მათთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“ (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

თბილისი, 2019 წელი

„შპს ცხუმ-ეგრისის დებულების“ მუხლი 7- განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პროგრამების განმახორციელებლების რაოდენობა შეადგენს: „ელექტროობა“- 8 პროფესიული მასწავლებელი, ხოლო „ფარმაცია (სააფთიაქო)“ – 15 პროფესიული მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის განამახორციელებლების პირადი საქმეები;
- დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის შინაგანაწესის მუხლი 3 ,,სამსახურში მიღების წესში“ წარმოდგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებელი პირის შერჩევის წესი, რომლის მიხედვით, ვაკანტურ პოზიციაზე თანამშრომლები მიიღებიან ღია კონკურსის საფუძველზე, ან კონკურს გარეშე. მათ წაეყენებათ დირექტორის მიერ დამტკიცებული, დირექტორის, ან დირექტორის დავლებით ადმინისტრაციული თანამშრომლის წინასწარ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კანდიდატურის შერცევა ხდება დირექტორის, ან კომისიის მიერ. ყველა თანამშრომელზე დგება პირადი საქმე, რომლის წარმოების წესი და შინაარსი განისაზღვრება ამ შრომის შინაგანაწესითა და დირექტორის სხვა ბრძანებებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

--

თბილისი, 2019 წელი

თანამშრომლის პირადი საქმე აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:
ა) ავტობიოგრაფიას (CV);
ბ) განათლების ან/და მოთხოვნის შესაბამისი სამუშო გამოცდილების
დამადასტურებელ დოკუმენტს;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის და/ან პასპორტის ასლს;
დ) შრომით ხელშეკრულებას;
ე) ერთ ცალ ფოტოსურათს 3/4-ზე.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებამ აჩვენა, რომ მათი შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ექსპერტებმა ასევე დააფიქსირეს, რომ რამდენიმე პირად საქმეში არიყო სრულად წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა დადებული ხელშეკრულებები. ისინი შედგენილია კანონმდებლობით დადგენილი და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

რეკომენდირებულია, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა შესაბამისობაში იყოს დასესებულების მიერ დადგენილთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მომსახურების ხელშეკრულებები;
- დირექტორის 2019 წლის 12 დეკემბრის N01-30 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ცხუმ-ეგრისის დებულება“.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

--

თბილისი, 2019 წელი

ა) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

№	პროგრამის დასახელება	როფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია სპეციალიზაციის , სავლის დეტალურ სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი ტუდენტებისათვ ს	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის აქართულენოვ ნი უდენტებისათ ის	სწავლების ენა	პროგრამის ანხორციელებ ს მისამართი /მისამართები	ტუდენტთ ექტობრივ რაოდენობა სამართებ იხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ისამართები მიხედვით
1	ელექტროობა (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	ქ.ზუგდიდი, მ.კოსტავას N32	0	14
2	ფარმაცია (საფთიაქო) (მოდულური)	მეხუთე საფეხური/დონე	ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 0916; ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი). 090352	123	153	ქართული	ქ.ზუგდიდი, მ.კოსტავას N32	0	20

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი 14.01.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: